ო ქ მ ი N 10

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხ ო ბ ი. **2023 წლის 28 ნოემბერი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.ფრიდონ შონია

5.დიტო ხასია

6.ბადრი რიჟამაძე

7.ჯანსუღ ჯიშკარიანი

8.მალხაზ იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი: ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 27 ნოემბრის N 50 – 502333115 წერილის განხილვა;

="ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

="ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8 წინააღმდეგი არც ერთი.

+ + +

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების განხილვა:

1"ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია -

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს შევიდა ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის" ხელმძღვანელის წერილი, რომლითაც საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N 4 დადგენილების თანახმად, ითხოვენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი ქონების გადაცემას უზუფრუქტის ფორმით, ორი წლის ვადით, მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სოფლის ამბულატორიების ქსელის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის მოწესრიგების მიზნით.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, მერიას მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სასოფლო სამედიცინო ამბულატორიების ნუსხა რომელთა გადაცემაც არის გათვალისწინებული.

1.თორსა დღვაბა 2ვემო ქვალონი 3.პირველი მაისი 4.ქარიატა 5.შუა ხორგა 6.ძველი ხიბულა 7საჯიჯაო 8.ახალი ხიბულა.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8 წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

2."ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სპეციალური დანიშნულების, ასენიზაციის ავტომანქანა (CLW მარკის, გამოშვებული 2023 წელს, 109622 ლარის ღირებულების), მიზანშეწონილად მიაჩნიათ, სარგებლობის უფლებით, (თხოვების ფორმით) არსებობის ვადით, უსასყიდლოდ გადაეცეს შპს „ხობის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგებას" საჭირო სპეციფიური საქმიანობისთვის.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/